ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-110

2010 წლის 22 ოქტომბერი
ქ. ქობულეთი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტზე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დარეგისტრირებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ძ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს მოქმედი კანონმდებლობისა და პროცედურების დაცვით მოახდინოს არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დარეგისტრირება ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოდგენილი აზომვითი ნახაზის შესაბამისად.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე. ბაგრატიონი).

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნ. ბერაძე